

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების აუცილებლობა განპირობებულია „მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზისა და დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კანონის ძალადაკაგულად ცნობის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით, რომელიც ითვალისწინებს „მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზისა და დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კანონის გაუქმებას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია „საქართველოს წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“ საქართველოს კანონში სათანადო ცვლილების შეტანა, რომელიც გამომდინარეობს „მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზისა და დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კანონის ძალადაკაგულად ცნობის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტიდან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის ძირითადი არსია „მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზისა და დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კანონის ძალადაკაგულად ცნობის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტიდან გამომდინარე, სათანადო რედაქციული ცვლილების შეტანა „საქართველოს წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“ საქართველოს კანონში. კერძოდ კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებზე შესაძლო მავნე ანთროპოგენური ზეგავლენის მოხდენის გათვალისწინება სავალდებულოა „მშენებლობის პროექტების სახელმწიფო კომპლექსური ექსპერტიზისა და დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მშენებლობის პროექტების დამტკიცების პროცესში გადაწყვეტილებათა მიღებისას“, ამრიგად, მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზისა და დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კანონის ძალადაკაგულად ცნობის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის მიღების შემთხვევაში, აღნიშნულ ქვეპუნქტს აზრი ეკარგება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი დაფინანსების აუცილებლობას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იმოქმედებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობის რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობას რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი ოდენობის განსაზღვრას და შესაბამისად არ ადგენს მის განსაზღვრის წესს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონის ცვლილების პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ სამთავრობო დაწესებულებები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

კანონპროექტი არ ყოფილა წარდგენილი დამოუკიდებელი ექსპერტებისათვის.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი
კანონპროექტის ავტორია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

დ.დ.) კანონპროექტის ინიციატორი.

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.